პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 40 (19482) ◆ კვირა, 16 თებერვალი, 1986 წ. ◆ ფასი 3 კაპ.

კარგი დასაწყისი წარმატების საწინდარია

რამდენიმე დღის შემდეგ მუშაობას დაიწყებს სკკპ XXVII ყრილობა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ემზადებიან ქვეყნის კომუნისტთა ფორუმისათვის, პირდაპირ და გულახდილად ლაპარაკობენ არა მარტო წარმატებებზე, არამედ იმაზეც, რაც ხელს გვიშლის, იმაზეც, როგორ უნდა გარდაქმნან მუშაობა, მოუწოდებენ თანამოსაქმეთ მტკიცედ და თანამიმდევრულად მისდიონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების მიერ, პარტიის საყრილობო დოკუმენტებით განსაზღვრულ კურსს.

ადგანან რა ამ კურსს, რესპუბლიკის ყველა შრომითმა კოლექტივმა ახალი წლის პირველი თვიდანვე საქმეს ენერგიულად, აღმავლობით მოჰკიდა ხელი. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების იანვრის სახელმწიფო გეგმის „შესრულების შედეგების შეჯამებას მიეძღვნა სელექტორული თათბირი, რომელიც გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ამ თათბირში მონაწილეობდნენ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკის საუწყებათშორისო ორგანოების, ზოგიერთი სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელები. ადგილებზე თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, საბჭოთა ორგანოების, მთელი რიგი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების, ეკონომიკის სხვა სფეროების ხელმძღვანელები.

თვის შედეგები თათბირს გააცნო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ა. ჩხეიძემ.

თათბირზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თავმჯდომარე ო. გ. ვარძელაშვილი, მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ბ. ზ. მაყაშვილი, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი თ. შ. ხაჩიძე, „საქმთავარენერგოს“ სამმართველოს უფროსი ი. ე. ქვედა, სამომარაგების თავმჯდომარე ო. ვ. ქვილითაია. მათ ილაპარაკეს იმ თვისებრივ გარდაქმნებზე, რომლებიც ხდება მათი მეთაურობით მომუშავე დარგებში, აღნიშნეს, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ სიძნელეთა დაძლევისათვის.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

აღინიშნა, რომ იანვრის გეგმა შესრულდა ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, გეგმის გადამეტებით წარმოებულია 24 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. მუშაობა გაუმჯობესა აგროსამრეწველო კომპლექსმაც. მაგრამ, ამავე დროს, წლის დადგომისთანავე გამოვლინდნენ ჩამორჩენილებიც. მაგალითად, სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დაკალება ვერ შესრულა 20 საწარმომ, მისი რეალიზაციისა კი 72 საწარმომ. ზოგიერთ რაიონში ჩამორჩებიან სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გეგმების შესრულებაში.

გამოითქვა შეშფოთება ისეთი საწარმოების არასტაბილური მუშაობის გამო, როგორიც არის რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტი“, ხის დამამუშავებელი კომბინატი, №1 რკინა-ბეტონის ნაწარმის ქარხანა, საჩხერის ბამბის სართავი ფაბრიკა, ბათუმის ელექტრომექანიკური, ხის დამამუშავებელი და მექანიკური ქარხნები. საშენ მასალათა კომბინატი, ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შარშან ვერ გაასაღა 115 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია და წელსაც ვერ ასრულებს სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს. იანვრის შედეგების მიხედვით ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში 6 საწარმომ ვერ შეასრულა სასაქონლო პროდუქციის წარმოების, 18 საწარმომ კი მისი რეალიზაციის გეგმები.

თათბირმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპი, რომელსაც შეიცავს 1986 წლის გეგმა, ისეა გაანგარიშებული, რომ ზუსტი რიტმი მისცეს მთელ ხუთწლედს. ამიტომ პირველი თვეებიდანვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეზერვების გამოვლენას, ფართო გზა გაეხსნას დიდნაყოფიერ შრომას, თითოეულ კოლექტივში შეიქმნას იმის პირობები, რომ ზუსტად სრულდებოდეს სახელშეკრულებო ვალდებულებანი, პროდუქტიულად იყენებდნენ ყოველ საათს. ყველა დონეზე და ყველა სამუშაო ადგილას ყოველნაირად უნდა გაძლიერდეს დისციპლინა, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა.

თათბირზე აღინიშნა, რომ ჯეროვანი ინიციატივის და მომთხოვნელობის გარეშე ხორციელდება მიწათმოქმედების სტაბილურობის გადიდების, მეცხოველეობის აღორძინების ღონისძიებანიც. ჯერ კიდევ ნელა ითვისებენ კაპიტალური შენებლობისათვის გამოყოფილ ფონდებს.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენების, ნავთობპროდუქტების ხარჯვაში უყაირათობის ფაქტების გამოვლენისა აღკვეთის პრობლემებს. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ახლოვდება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მთლიანად უნდა იყოს უზრუნველყოფილი საწვავ-სპეხი მასალებით. აქ ბევრი იქნება დამოკიდებული ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მწყობრ, სტაბილურ მუშაობაზეც. პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ უფრო ხშირად და უკეთ უნდა გაამუქონ ეკონომიკის საკითხები, უფრო მკაფიოდ, ორგანიზებულად, ქმედითად გაუწიონ პროპაგანდა დანაკარგების წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამას.

აღინიშნა, რომ დღეს ყოველ პარტიულ ორგანიზაციაში, თითოეულ შრომითს კოლექტივში უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, რომელიც გამორიცხავს საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის არაობიექტურ შეფასებას, ტრაბახს, პარადულობას, აურზაურს, მოქმედების ასპარეზი მიეცეს საქმიან კრიტიკასა და თვითკრიტიკას. პარტიული ორგანიზაციების ვალია დაირაზმონ უყაირათობის, მფლანგველობის, მუშაობაში წუნის, პროდუქციის თვითღირებულების გაძვირების წინააღმდეგ.

თათბირზე გამოითქვა რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები, რომლებმაც წარმატებით დაიწყეს მიმდინარე წელი და აღფრთოვანებული არიან პარტიის გაბედული ნოვატორული გეგმებით, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ იმისათვის, რომ დამკვრელურად შეასრულონ სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და მთლიანად მიმდინარე წლის პროგრამა.

(საქინფორმი)

შრომის საყოველთაო ზეიმი

ღირსეულად შეეხვდეთ სკკპ XXVII ყრილობას

შესანიშნავად იშრომეს გუშინ თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, სატრანსპორტო და სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკებმა. ათიათასობით მანეთის პროდუქცია დაამზადეს ჩარხმშენებლებმა და ელმავალმშენებლებმა, ელექტრიკოსებმა და ფეიქრებმა. დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს მშენებლებმა და მათ შორის მეტრომშენებლებმა.

სურათებზე: თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების სპეციალური ჩარხების სამაქროს ამწყობი ზეინკალი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი ს. გოგიშვილი და მისი აღზრდილი, ერთ-ერთი საუკეთესო ამწყობი ზეინკალი ა. ჯალიშვილი შაბათობაზე; თბილისის კამვოლური დართვის ფაბრიკის საგრეხ-სამახავი საამქროს ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის წევრები გ. ტომაევა, თ. ერაძე, თ. დუნდუა და ქ. გამყრელიძე აჯამებენ შაბათობის შედეგებს; „თბილისგვირაბმშენის“ ზეინკალ-მემონტაჟეთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული მშენებელი, სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი ა. დათაშვილი (მარჯვნივ) შაბათობით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად დავალებას აძლევს თავის ბრიგადის წევრს გ. დანელიას.

Ფ. კრიმსკის ფოტო.

ატომური ენერგეტიკა გადაგვაჭრევინებს ენერგეტიკის პრობლემას

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის მზარდი ეკონომიკა, მეტადრე მოსახლეობის მატების პირობებში, სულ უფრო მეტ ენერგეტიკულ უზრუნველყოფას მოითხოვს. ელექტროსადგურები, რომლებიც ორგანულ სათბობს იყენებენ ნავთობის, გაზის, ქვანახშირის, ტორფისა და ფიქლების სახით, სულ უფრო ხშირად აწყდებიან ამ სახეობათა სათბობის მიღების სიძნელეს, განსაკუთრებით ზამთრობით, როდესაც მათი მოპოვება და შორ მანძილზე ტრანსპორტირება ძლიერ გაძნელებულია.

გარდა ამისა, ქვანახშირის მოპოვება სულ უფრო რთულდება და ძვირდება. სსრ კავშირის ევროპული ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილში ქვანახშირის მოპოვებისათვის სულ უფრო ღრმად გვიხდება მიწის წიაღში ჩასვლა, იძულებული ვართ ვაშენოთ სიღრმული შახტები და ზედაპირზე სათბობის ამოტანის სამშენი ჩავაბა დიდძალი მუშები და მომსახურე პერსონალი.

ელექტრომაგდგურების სათბობად ნავთობის გამოყენება თანდათან არარაციონალური ხდება. ვინაიდან მისი მარაგი ქვეყნის წიაღში არც ისე დიდია.

ტრადიციულ სახეობათა სათბობის მოპოვების ყველა ეს სირთულე შეიძლება მნიშვნელოვნად შეამცირონ, თუ ფართოდ გამოვიყენებთ ენერგიის ახალ, სიმძიდო წყაროს, რომელიც წარმატებით აითვისა ადამიანმა, — ატომურ ენერგიას.

დიდი „ალორიულობა“, ენერგეტიკვადა და ხელფრითი კონცენტრაცია მასის ერთეულზე. რომლითაც ბირთვული სათბობი გამოირჩევა, ყველაზე მაღლა აყენებს მას სხვა სახეობათა ენერგეტიკულ ნედლეულთან შედარებით.

ცნობილია, რომ ატომურ რეაქტორში ურანის ბირთვების დაყოფისას გამოიყოფა უდიდესი ენერგია, რომლის გამოყენებაც შესაძლებლობას გვაძლევს შევქმნათ სამრეწველო ტიპის ატომური ელექტროსადგურები (ატესები). მაგალითად, ურანის ბირთვის გაყოფის ერთი აქტის დროს გამოიყოფა დაახლოებით 200 მილიონი ელექტრონვოლტის ტოლფასი ენერგია. ეს 200 — მილიონჯერ და 10-ჯერ და მეტად სჭარბობს ენერგიას, რომელიც ერთ ატომზე გამოიყოფა ნებისმიერ ქიმიურ რეაქციაში.

მაგრამ თუ მოვიხმართ ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო ჩვეულ საზომ ერთეულებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1 კილოგრამი ურან-235-ის „წვა“ გვაძლევს დაახლოებით 23 მილიონ კილოვატსაათ ენერგიას, მაშინ როდესაც 1 კილოგრამი ქვანახშირის ჩვეულებრივი წვის დროს გამოიყოფა სულ 8,1 კილოვატსაათი ენერგია. ამრიგად, ურან-235 წონის ერთეულზე გაანგარიშებით შეიცავს თითქმის 3-მილიონჯერ მეტ ენერგიას, ვიდრე ქვანახშირი.

მაშ, როგორ არ ვისარგებლოთ ესოდენ გასაოცარი და გიგანტური ძალით, რომელიც ადამიანმა აღმოაჩინა და აითვისა!

ქვეყნიერებაზე ატომური ენერგიის გაჩენას მოჰყვა შემზარავი გრიალი და იაპონიის ქალაქების ჰიროსიმისა და ნაგასაკის დანგრევა ამერიკული ატომური ბომბებით, ასიათასობით ადამიანის დაღუპვა. ი.ი, რატომ არის, რომ ჩვენი პლანეტის ბევრი მცხოვრები უნდობლად და შიშით აღიქვამს მსჯელობას ატომური ენერგიის ძლიერების შესახებ.

არადა, საბჭოთა მეცნიერები. როდესაც ატომურ იარაღზე მონოპოლიას ირთმევდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს, ფიქრობდნენ ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით, ადამიანის სასიკეთოდ, და არა საზიანოდ გამოყენებაზე. სხვათა შორის, საბჭოთა ატომური იარაღის შექმნამ უზრუნველყო სწორედ ჩვენი 40 წლის მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა.

მსოფლიოს პირველი ატომური ელექტროსადგური 1954 წელს აშენდა მოსკოვის მახლობლად. მას შემდეგ ატომური ენერგეტიკა ფართოდ მიიჭიკეს პლანეტაზე. ამჟამად ატესები მოქმედებს, მუშაობს და შენდება მსოფლიოს 26 სახელმწიფოში. დღესდღეობით, ატომური ენერგიის საერთაშორისო საგენტოს მონაცემებით არის დაახლოებით 50 ატესი (ენერგეტიკული ბლოკი), რომელთა საერთო ელექტრული სიმძლავრე 250 ათას მეგავატს (ანუ 250 მილიონ კილოვატს) სჭარბობს.

ეს უდიდესი ძალაა, იგი ტოლფასია ნავთლისა, საფრანგეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოქმედი ყველა სახეობისა და ტიპის ელსადგურების ერთად აღებული სიმძლავრისა. არადა, სწორედ ეს სამი ქვეყანა განსაზღვრავს მთელი დასავლეთი ევროპის სახესა და სამრეწველო ძლიერებას.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ

Ა. Მ. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲪᲘ,

სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე

(დასასრული მე-2 გვ.).

ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

თანამედროვეობისა და მთამომავლობისათვის...

საქართველო ემზადება იმისათვის, რომ აღნიშნოს თავისი სახელოვანი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი, რომელმაც ღრმა კვალი დაიჭრა ხალხის ცხოვრებას. თვით მწერლის ფიგურა და შემოქმედების მასშტაბურობა განსაზღვრავენ განსაკუთრებულ მიდგომას რესპუბლიკის, მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი.

იუბილეს ეძღვნება დიდი მწერლისა და მოაზროვნის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომიანი აკადემიური გამოცემა. იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ამ საეტაპო გამოცემაზე, სჯა-ბაასი იყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ მთავარი სარედაქციო კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე. სხდომა გახსნა გამოცემის მთავარმა რედაქტორმა, ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი თ. გამყრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი შ. ძიძიგური, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ქ. ლომთათიძე, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ე. მეტრეველი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი პ. რატიანი.

გაფართოებული კოლეგიის სხდომაზე ინფორმაციები გააკეთეს რესპუბლიკის გამსახკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რ. ღლონტმა, რესპუბლიკის გამსახკომის თავმჯდომარის მოადგილემ, „საქწიგნის“ მმართველმა ე. სიხარულიძემ, გამომცემლობა „მერნის“ დირექტორმა გ. გვერდწითელმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექტორმა შ. შენგელიამ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებული, რომლის გამოშვება დავალებული აქვს გამომცემლობა „მეცნიერებას“, შესრულდება მაღალ პოლიგრაფიულ და მხატვრულ დონეზე. ტომებში შევა დოკუმენტური ფოტომასალები. ქართველი მკითხველები გაეცნობიან ისეთ პუბლიცისტურ სტატიებსაც, რომლებიც არ ყოფილა შეტანილი არც ერთ წინა გამოცემაში.

უახლოეს დღეებში გამოცხადდება ხელმოწერა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომიან აკადემიურ გამოცემაზე.

სარედაქციო კოლეგიის გაფართოებული სხდომის შედეგები შეაჯამა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის დღესასწაულის მომწყობი რესპუბლიკური საიუბილეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ენუქიძემ.

(საქინფორმი).

ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 150 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველო ემზადება იმისათვის, რომ აღნიშნოს თავისი სახელოვანი მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავი, რომელმაც ღრმა კვალი დაიჭრა ხალხის ცხოვრებას. თვით მწერლის ფიგურა და შემოქმედების მასშტაბურობა განსაზღვრავენ განსაკუთრებულ მიდგომას რესპუბლიკის, მთელი ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისადმი.

იუბილეს ეძღვნება დიდი მწერლისა და მოაზროვნის თხზულებათა სრული კრებულის ოცტომიანი აკადემიური გამოცემა. იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ამ საეტაპო გამოცემაზე, სჯა-ბაასი იყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ მთავარი სარედაქციო კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე. სხდომა გახსნა გამოცემის მთავარმა რედაქტორმა, ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსი თ. გამყრელიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, მწერალი-აკადემიკოსი გ. აბაშიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ჯიბლაძე, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ი. ჩხეიძეშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, პოეტი ჯ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ბ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ე. ხარა

პარტიული ცხოვრება:

კომუნისტები და ეკონომიკა

რეზერვების ძიება გრძელდება

ხუთაგზურავის საბჭოთა მეურნეობას საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავა — იგი ლიახვის მარჯვენა სანაპიროს თითქმის ყველა სოფელს მოიცავდა. მეურნეობაში რომელ დარგს არ მისდევდნენ და ყველაში ჩამორჩებოდნენ. ბევრს ფიქრობდნენ მეურნეობის ხელმძღვანელები წარუმატებლობისაგან თავის დაღწევის გზებზე. დირექტორს ყაზბეგ კოჩიევს ხომ სულ წარეთვა მოსვენება. მერე თითქოს მოიფიქრა... პარტიულ კომიტეტს გაუზიარა მოსაზრება, იქაც იმსჯელეს, ითათბირეს და ზემდგომ ორგანოებს მოახსენეს.

პარტიის ცხინვალის რაიონულ კომიტეტში გააანალიზეს შექმნილი აზრი და გადაწყდა: ცალკე გამოყოფილიყო სოფლები ძარი, დოდოთი, რუსთავი, დამპალეთი და მათს ბაზაზე შექმნილიყო საკვებმომპოვებელი გაერთიანება, მერე შეიქმნა თამარაშენის მებოცვრეობის საბჭოთა მეურნეობა, ხოლო დარჩენილი ძალები ხეთაგურეოვის მეთესლეობის მეურნეობად გაერთიანდა. ასე იქცა ერთი კოლექტივი სამი მიმართულების მეურნეობად. სამივემ საკუთარი სახე მიიღო და ამ დღიდან საქმე წაიმა შეტრიალდა.

ხეთაგუროველებმა ინტენსიურად დაიწყეს თესლის წარმოება. ამავე დროს ყურადღება არც მეცხოველეობას და მეზღვეობას მოაკლეს. სამი წლის წინათ აქ პირველად ხოდის ბრიგადაში სცადეს კოლექტიური იჯარის გამოყენება და კარგი შედეგიც მიიღეს — ბრიგადამ გადაჭარბებით შეასრულა გეგმები.

ამ პრაგრესული მეთოდით შრომის სიკეთეში რომ დარწმუნდნენ, მას ფართო გზა მისცეს. პარტორგანიზაციის ღია კრებაზე განიხილეს ეს საკითხი და გადაწყვიტეს მემინდვრეთა ყველა ბრიგადა ორ მძლავრ კომპლექსურ საიჯარო კოლექტივად გაერთიანებულიყო. ასეც მოხდა. მეურნეობა აღმავლობის გზას დაადგა. ზარალის ნაცვლად 1983 წელი 585 ათასი მანეთი მოგებით დაამთავრეს. კოლექტიური იჯარის გამოყენებით შუშაობის მარტო პირველ წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა 40-50 პროცენტით გადიდდა, შრომის ნაყოფიერება — 180 პროცენტით, ხოლო თითოეული მუშის საშუალო ხელფასი — 160 პროცენტით გაიზარდა. შარშანწინ უკვე ყველა სახეობის მიზედვით გადაჭარბებით შესრულდა გეგმები. ხორბლის ჰექტარობრივი მოსავლიანობა საშუალოდ 50 ცენტნერამდე გაიზარდა, ჰიბრიდული სიმინდისა — 12,5 ცენტნერამდე, ლობოსი — 12 ცენტნერამდე და ა. შ. შარშან ხორბლისა და ლობიოს აქ გამოყვანილი ჯიშის „ხეთაგუროვი-4"-ის ჩინებული მოსავალი მიიღეს. თავთავიანი მარცვლეული საშუალოდ ჰექტარზე 48 ცენტნერი მოვიდა. განსაკუთრებით გაამართლა ესპარცეტმა. გეგმით ხეთაგუროვის მეურნეობას ესთესლე ესპარცეტი 80 ტონა უნდა ეწარმოებინა, მათ კი 100 ტონა თესლი მოიყვანეს და ამით კიდევ უფრო გააძლიერეს მეურნეობის ეკონომიკა.

საქმე იმდენად კარგად წავიდა წინ, რომ კოლექტიური იჯარით მუშაობის გამოცდილება საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი გაერთიანების „თავთავის" სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა და რეკომენდაცია მისცა თავის გაერთიანებაში არსებულ 16 მეურნეობას დანერგონ ხეთაგუროველთა გამოცდილება.

— მაგრამ ეს ყველაფერი რომდაა. ჯერ კიდევ ბევრი რეზერვია გამოუყენებელი, — ამბობს დირექტორი, — ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისათვის, რომ ჩვენი მეცხოველეობის ფერმები მთლიანად კოლექტიურ-საიჯარო მეთოდით შრომობდნენ. გარდა ამისა, სხვა პრობლემებიც არის. ათას ჰექტარზე მეტი ურწყავი ფართობი გვაქვს, რომლის გასარწყავება დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

საერთოდ მეურნეობაში ბევრი რამ კეთდება მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის, ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მას შემდეგ კი, რაც პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიუროზე მეურნეობის ხელმძღვანელებს მიუთითეს, მეტი ყურადღება მიექციათ პროდუქციის ხარისხისათვის, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვისათვის, ეს სფერო განსაკუთრებული ზრუნვის საგნად გაიხადეს აქ.

როგორ ვაწარმოოთ მეტი პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით? ეს საკითხი პარტორგანიზაციის მუშაობის დღის წესრიგიდან არ იხსნებოდა. ვინც ეძებს, პოულობსო, უთქვამთ და აქაც ნახეს გამოსავალი: მეცხოველეობის ფერმებში საკმაო რაოდენობით იყო მცირეპროდუქტიული მობერებული ძროხები, რომელთა კვებაზეც იმდენი საკვები იხარჯებოდა, რამდენიც ჯიშიან, დიდპროდუქტიულ ძროხებზე. შედეგი კი რა იყო — ძროხაზე მხოლოდ ერთი ლიტრი რძე. ღირდა ასეთი ძროხების კვება მხოლოდ იმ მიზნით, რომ სულადობა არ შემცირებულიყო? ჰოდა, გადაწყვიტეს 35 ათასი ძროხა მთაში გაგზავნათ დასასუქებლად და შემდეგ ხორცკომბინატისთვის ჩაებარებინათ. ასეც მოიქცნენ. სამაგიეროდ შემოიყვანეს დიდპროდუქტიული ჯიშის ძროხები, რომელთაც ზოოტექნიკურად გაანგარიშებული ულუფა ეძლევათ. ყოველივე ამან თავისი ნაყოფი გამოიღო, ახლა ყოველდღიურად დამატებით თითო ტონა რძეს წველიან. ასე რომ, ყოველთვიურად დამატებით 30 ტონა რძე აქვთ. ყოველივე ამის შედეგად შარშან წინა წელთან შედარებით თითოეული ძროხის წველადობა 20 პროცენტით გაიზარდა და 2 ათას კილოგრამს გადაჭარბა.

რეზერვების ძიება კი კვლავ გრძელდება. აქაურ პირობებში ძნელია 430 სულზე მეტი ძროხის ბაგურად გამოკვება. ამიტომ კომუნისტებმა ამას წინათ კრებაზეც თქვეს, რომ საჭიროა მიტოვებული მიწების გაკულტურება. მხოლოდ ასე შეიქმნება საკვების დიდი მარაგი და ამასობაში ჯიშიანი უშობლებიც ძროხებად იქცევიან. საბოლოო მიზანი ის არის, რომ ჯიშიანი ძროხა ახალ ხუთწლედში წელიწადში 2.500-3.000 კილოგრამამ ხარძსხიან რძეს იძლიოდეს. მხოლოდ ასე ანაზღაურდება დარგზე გაწეული ხარჯები და მეცხოველეობა მომგებიან დარგად გადაიქცევა.

მეორე თვეა ახალი ხუთწლედი დაიწყო. ახლა მთავარი საზრუნავი წარმოების ინტენსიურ რელსებზე გადაყვანაა. ამ მიმართულებით აქ არის მიღწევები. თუნდაც ის, რომ მუშათა რაოდენობის გაუზრდელად და სამმართველოს აპარატის შემცირებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამაძლიერებაზე გაწეული ნაკლები დანახარჯებით, ერთი სიტყვით, მხოლოდ ინტენსიფიკაციით სასოფლო-სამეურნეო წარმოება 25-30 პროცენტით გაიზარდა.

შარშან პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ მოისმინა კომუნისტ ყაზბეგ კოჩიევის ანგარიში და დაამტკიცა მისი პარტიული დანასიათება. არ მორიდებიან, პირში უთხრეს სათქმელი — ავიც და კარგიც. თუმც კარგი გაცილებით მეტი აღმოჩნდა. აღინიშნა, რომ ყ. კოჩიევმა ცხრა წლის მანძილზე, რაც მეურნეობის დირექტორად მუშაობს, თავი გამოიჩინა როგორც შრომისმოყვარე, კვალიფიცირებულმა სპეციალისტმა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოცდილმა ხელმძღვანელმა; იგი მარჯვედ და ოპერატიულად წარმართავს კოლექტივის საქმიანობას საგეგმო დავალებათა შესასრულებლად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით მეურნეობაში წარმატებით დაინერგა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმა — ბრიგადული იჯარა, რამაც მეურნეობაში მნიშვნელოვნად განამტკიცა „შრომის და საწარმოო დისციპლინა...

მეთერთმეტე ხუთწლედში მისი ხელმძღვანელობით მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის „კოლექტივმა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში კარგ შედეგებს მიაღწია. თუ 1983 წლამდე მეურნეობა დიდად ზარალიანი იყო, 1983 და 1984 წლები მან მილიონ 46 ათასი მანეთი მოგებით დაამთავრა. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება, ხოლო რენტაბელობამ 25-დან 34 პროცენტამდე იმატა...

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში მეურნეობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა საყოფაცხოვრები პირობები...

დირექტორს ნაკლზეც მიუთითეს, აღნიშნეს, რომ ზოგჯერ მას პრინციპული მწვავე საკითხების გადაჭრისას არ ჰყოფნის თანმიმდევრულობა და შეტევითობა. იგი ყოველთვის როდი იჩენს სათანადო სიმკაცრეს საწარმოო ურთიერთობაში შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ.

გამოხდა ხანი. კომუნისტი უფრო კრიტიკულად მიუდგა საკუთარ თავს, უფრო დაიხვეწა როგორც ხელმძღვანელი, მეტი პრინციპულობა შეიძინა. ეს საქმესაც დაეტყო. კარგი სამეურნეო ხელმძღვანელი ამას წინათ ჯავის რაონულო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. გამართულ მეურნეობას კი ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს.

ახალ წელს ახალი შემართებით მუშაობენ მეურნეობაში. იციან, პირველ თვეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. თანაც დიდი პარტიული ყრილობა კარზეა მომდგარი. ღირსეულად ხვდებიან მას, ხელდამშვენებულები. წინ კ ზღვა საქმეა, მალე გაზაფხული მოვა და ახალი ხუთწლედის პირველი ხნულები გაიკვალება, კიდევ ერთი ბარაქიანი წლის მოსავალ ჩაუყრიან საიმედო საფუძველს ხეთაგუროველები.

გ. თედეევი.

„კომუნისტის" საკ. კორ.

ატომური ენერგეტიკა გადაგვაჭრევინებს ენერგეტიკის პრობლემას

(დასასრული)

ამრიგად, ატომური ენერგეტიკის განვითარება უნდა მივიჩნიოთ ქვეყნების ეკონომიკის დიდმნიშვნელოვან მიმართულებად და თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საჭირო ფაქტორად.

მსოფლიო ატომრმა ენერგეტიკამ უკვე 1981 წელს გამოიმუშავა იმდენივე ენერგია (ნავთობის ეკვივალენტით), რამდენიც ნავთობით უმდიდრესი საუღის არაბეთის ყველა ჭაბურღილმა. სწორედ ეს გახლავთ იმ ფაქტის რეალური დემონსტრაცია, რომ ატომურ ენერგეტიკას შეუძლია შეეცვალოს ისეთი ძვირად ღირებული და დეფიციტური ორგანული სათბობი, როგორიც არის ნავთობი.

ატომურმა ენერგიამ, თუ გავითვალისწინებთ მის ადგილს სსრ კავშირის საბარანსპორტო — საზღვაო და საოკეანო გემებზე ატომური ყინულმჭრელების „ლენინის", „არქტიკის", „ციმბირის", „რუსეთის" და წყალქვეშა ნავების სახით და, რაც მთავარია — ატომურ ელსადგურებში ელექტრული ენერგიის მისაღებად, ყველზე ფართო მასშტაბური გამოყენება პოვა სახალხო მეურნეობაში, მეცნიერებაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში, სხვა დარგებში დანარჩენ სახეობებთან შედარებით.

ჩვენს ქვეყანაში 5.000-ზე მეტი სამეცნიერო, სამედიცინო და სამრეწველო ორგანიზაცია იყენებს ბირთვული გამოსხივების სხვადასხვა წყაროებსა და რადიონუკლიდებს. ზოგიერთ მათგანს გამოყენების თვალსაზრისით, ღირს შევეხოთ, რათა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ ეხმარება ატომური ენერგია ადამიანს ბუნების ათვისებაში.

ანალიზის ბირთვულ-ფიზიკური მეთოდები საუკეთესო საშუალებაა ნივთიერებებში ულტრამცირე რაოდენობის მინარევების, გეოლოგიურ და ბიოლოგიურ ობიექტებში ელემენტთა კვალის განსასაზღვრავად.

ქიმიურ წარმოებაში ატომური ენერგიის მოქცევას მოჰყვა ახალი მიმართულების — რადიაციული ქიმიის გაჩენა.

საბჭოთა სწავლულებმა თვალსაჩინო წვლილი შემატეს მსოფლიო მეცნიერებას — დაამუშავეს რადიაციული ქიმიის თეორიული საფუძვლების ბევრი დიდმნიშვნელოვანი ასპექტი, მათ შორის პრესვლადი ელემენტარული პროცესების თეორია, შესხივების პროცესში თავისუფალ რადიკალთა წარმოქმნისა და დაშლის მექანიზმი; წყლისა და წყალხსნარების რადიოლიზის მექანიზმი; მოლეკულური ჯაჭვი ენერგიის გადაცემის თეორია; იონ-მოლეკულური, რადიკალური, რადიკალურ-იონური რეაქციების თეორია და მექანიზმები.

მძიმე ინდუსტრიის, მეტალურგიის, მაძენანთმშენებლობის, გემთმშენებლობისა და მრეწველობის სხვა დარგების განვითარებამ მოითხოვა გამგვეყენებინა ფოლადის ზოდები, ფოლადის სქელი ნაგლიანი ფურცლები, დიდძალი შენადუღი შენაერთები, რთული ფოლადის სხმული კონსტრუქციები, გაამაცარა ტექნიკური მოთხოვნები შენადუღი შენაერთების, ლითონების ხარისხისადმი. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახდა გაგვეღელიერებინა და კიდევ უფრო გაგვემკაცრებინა სხვადასხვა სისქის (400 მილიმეტრი და მეტი) ფოლადისა და სპეციალური შენადნობების ნაკეთობათა კონტროლი. დღეს ეს ამოცანა წარმატებით წყდება გამა-დეფექტოსკოპიის მეთოდების მეოხებით.

ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველი შეუდგა გამა-დეფექტოსკოპების სერიულ წარმოებას, ამჟამად ჩვენში მოქმედებს სხვადასხვა ტიპის 4.000 ასეთი აპარატი. სპეციალურმა გამა-დეფექტოსკოპებმა ფართო გამოყენება პოვეს მაგისტრალური გაზსადენებისა და ნავთობსადენების მშენებლობაზე, გემთსაშენებელი მრეწველობის საწარმოებში.

რადიონუკლიდური აპარატურის შემწეობით წარმატებით ვებრძვით სტატიკურ ელექტრობას, რომელიც წარმოების დროს წარმოიშვება ხოლმე მრეწველობის ბევრ დარგში.

ხშირად, დაელექტრება ისეთ დაღს ასვამს პროდუქციის ხარისხს, რომ წარმოებისათვის ნამდვილი უბედურება ხდება.

რადიონუკლიდური ტექნიკა გამოიყენება მანქანათსაშენებელი მრეწველობის საწარმოებში, ლითონდამშუშავებელ და სამსხმელო საამქროებში, აგრეგატული ჩარხებისა და მანქანების ბლოკირებისათვის, ავტომატურ ხაზებში ტექნოლოგიური პროცესების კონტროლისა და მართვის უზრუნველსაყოფად.

ჩვენს დროში მედიცინა გახდა ატომური ენერგიის, უწინარესად, რადიაციული ნუკლიდებისა და დამაიონებელი გამოსხივების წყაროების დიდი მომწოდებელი და მადლიერი დამფასებელი.

სხივური თერაპია ავთვისებიან სიმსივნესთან ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. სხივური თერაპიის მეთოდების განვითარება დაკავშირებულია მათი რეალიზაციის ტექნიკურ საშუალებათა სრულყოფასთან. რადიოლოგიურ დაწესებულებათა ტექნიკურ აღჭურვაში წამყვანი როლი ეკუთვნის დისტანციური გამა-თერაპიის აპარატურას.

მას შემდეგ, რაც ავითვისეთ ნაირგვარი რადიაქტიური ნუკლიდების სამრეწველო წარმოება და დამაიონებელი გამოსხივების საფუძველზე შეგქმენით სხვადასხვა ტიპის დანადგარები, დასახა პერსპექტივა გამოგვეყენებინა. ატომური ენერგია დაავადებების, მათ შორის, ავთვისებიანი წარმონაქმნების არა 'მარტო დაგნოსტიკის, არამედ მკურნალობისთვისაც. განვითარდა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის რენტგენორადიოლოგიური მეთოდები. დამოუკიდებელ მეცნიერულ დისციპლინად გამოიყო რენტგენოლოგია, რადიობიოლოგია და სამედიცინო რადიოლოგია.

სამედიცინო გამა-აპარატურის მშენებლობის განვითარებაში უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. კერძოდ, შეიქმნა სპეციალიზებული აპარატურა იმ სიმსივნეთა შესასხივებლად განკუთვნილ კონკრეტულ ლოკალიზაციათა მკურნალობისათვის, რომლებიც განლაგებულია სხეულის გარკვეულ ღრუებში, კერძოდ, გინეკოლოგიურ და სწორი ნაწლავის ღრუებში.

სპეციალიზებული გამა-თერაპიული აპარატურა ემსახურება სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტას, კერძოდ ხორხის, ლიმფური ჯირკვლების, ძვლებისა და სხვათა შესხივებას.

საბჭოთა მეცნიერები, ინჟინრები და ექიმები თავიანთ შუშაობაში იყენებენ რადიონუკლიდურ ულექტროკარდიოსტიმულატორებს. გულის უკმარისობასთან ბრძოლას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია სპეციალიზებული სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობაში. ელექტროკარდიოსტიმულაციის მეთოდის არსი ის არის, რომ გულის კუნთში შედის ელექტრული იმპულსები, რომლებიც იწვევენ გულის შეკუმშვას გადაცემული იმპულსების სიხშირის ტოლი სიხშირით.

ჩვენში შექმნილია და სამედიცინო პრაქტიკაში დაინერგა დიდძალი საინჭანტაციო ელექტროკარდიოსტიმულატორები, რომელთაგან ყველზე ფართოდ გამოიყენება ასინქრონული სტიმულატორები. ისინი ქმნიან იმპულსებს, რომლებიც ასტიმულირებენ გულის პარკუჭებს და უზრუნველყოფენ შეკუმშვის ფიქსირებულ რიტმს (60-70 იმპ/წთ) წინა გულის შეკუმშვის სიხშირის მიუხედავად.

შეიძლება კიდევ ბევრი სხვა მაგალითის მოყვანა ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროდან. ჩვენ, მაგალითად, არაფერი გვითქვამს ატომური ენერგიის გამოყენებაზე სოფლის მეურნეობაში, ბიოლოგიაში, ადამიანის საქმიანობის ბევრ სხვა დარგში. მაგრამ დასახელებული მაგალითებიც საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რაოდენ მრავალფეროვანი გახდა ატომური ენერგია და რა დიდი ასპარეზი აქვს მას. მაგრამ ყველაზე უფრო იგი გამოიყენება ელექტრული ენერგეტიკის განვითარებისათვის.

თუ განვიხილავთ ატომური ენერგეტიკის ხვედრით წილს ელექტროენერგიის მსოფლიო წარმოების მასშტაბით, იგი არც ისე დიდი აღმოჩნდება — დაახლოებით 10 პროცენტი. მაგრამ, საქმე ის არის, რომ ატომური ელექტროსადგურები, როგორც ზემოთ ითქვა, ჯერჯერობით მუშაობენ მხოლოდ მსოფლიოს 26 ქვეყანაში იმ 159 სახელმწიფოდან, რომლებიც ეაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შედიან.

საბჭოთა კავშირში ატომური ელექტროსადგურების ხვედრითი წილი 10% უდრის. ეს ნაკლებია, ვიდრე ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანაში. მაგრამ ეს ადვილად აიხსნება: სსრ კავშირი მდიდარია ქვანახშირის, ნავთობის, გაზის ბუნებრივი მარაგით და ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, იგი პლანეტის ერთ-ერთი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანაა, რომელიც მთლიანად აბარებს უზრუნველყოფილი ბუნებრივი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით და მათი ექსპორტის საშუალებაც აქვს. ჩვენი ქვეყანა, გეგმის შესაბამისად, ავითარებს და კვლავაც განავითარებს ატომურ ენერგეტიკას სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში, სადაც მთელი მოსახლეობის 70 პროცენტი ცხოვრობს. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოშიც აშენდეს ატომური ელექტროსადგური.

ამ თვალსაზრისით ჩვენი პოლიტიკა სსრ კავშირში უფრო სწორი, უფრო ლოგიკურია. ჩვენ ვაკეთებთ ყველა სახეობის ენერგეტიკულ წყაროს ელექტროენერგიის საწარმოებლად, ჯერდა ნავთობის გამოყენებისა ელექტროსადგურებში. მის ხარჯვას ვამცირებთ და ნავთობის გადამუშავებას ვახდენთ ნავთობქიმიურ მრეწველობაში.

სსრ კავშირში ახლა 40-ზე მეტი ატომური ენერგეტიკული ბლოკი მუშაობს. თუ 1984 წელს მათ 145 მილიარდი კილოვატსაათი გამოიმუშავეს, 1985 წელს ეს მაჩვენებელი 170 მილიარდ კილოვატსაათს უდრიდა.

საბჭოთა კავშირის ატომურ ელექტროსადგურებში დადგმული ენერგეტიკული რეაქტორების ძირითადი ტიპებია წნევიანი წყლის რეაქტორები და არხის ტიპის ურან-გრაფიტის მდუღარე რეაქტორები.

საბჭოთა კავშირში სწრაფი ნეიტრონებით მოქმედი რეაქტორის მქონე სამი ავტომატური ელექტროსადგური მუშაობს, ამასთან ერთ მათგანს — 1980 წელს ბელოიარსკის ატომურ ელექტროსადგურში ამოქმედებულ რეაქტორს 600 მეგავატი ელექტროსიმძლავრე აქვს.

გამოცდილების შეიძენის, მათი წარმოებისა და ექსპლოატაციის ათვისების კვალობაზე სწრაფი ნეიტრონებით მოქმედი რეაქტორების მქონე ატომური ელექტროსადგურები თანდათანობით მოიკავენ ენერგოსისტემას და გამოდევნიან სითბური ნეიტრონებით მოქმედ რეაქტორებს. ნელი ნეიტრონებით მოქმედი რეაქტორებს შეცვლის პროცესი საკმაოდ გაჭიანურდება. მაგრამ ეს პროცესი გარდაუვალია და საგრძნობი მასშტაბით, ალბათ, 2000 წლის შემდეგ დაჩქარდება.

ჩვენი ქვეყნის, და კაცმა რომ თქვას, მთელი მსოფლიოს ბირთვულ ენერგეტიკას ძალიან კარგი პერსპექტივა აქვს, მეტადრე იმ ეკონომიურ რაიონებში, სადაც ან არ არის, ან არასაკმარისია სათბობის წიაღისეული სახეობების და ჰიდროენერგიის ბუნებრივი მარაგი.

ენერგიის განაწილებადი წყაროები, როგორიც არის მზის, ქარის, გეოთერმული, მოქცევისა და სხვა, რა თქმა უნდა, განვითარდება და განსაკუთრებით იქ, სადაც მათ შესაბამისი პირობები და შესაძლებლობები აქვთ. მაგრამ მათი საერთო წვლილი მსოფლიო ენერგეტიკაში, ყოველ შემთხვევაში 2000 წლისათვის, ძალზე მცირე — დაახლოებით 3-5 პროცენტი იქნება.

სასიხარულო, მე ვიტყოდი, უაღრესად შთამბეჭდავი პერსპექტივები აქვს თერმობირთვულ ენერგეტიკას. თერმობირთვული სინთეზი, რომელსაც ადამიანი მართავს — ეს არის პერსპექტივა, რომ კაცობრიობა უზრუნველყოთ ენერგიის უშრეტი წყაროთი, პირველადი სათბობით. ... ტერიუმით, - რომელიც ... ...

ეხმაურები

ფაქტები • მოვლენები

მეცნიერთა ლაბორატორიებში

— წარმოიდგინეთ, რომ ერთერთ ჩვეულებრივ სპარფატში ახალი პროექტის შექმნის მოწმე ხართ. თქვენ წინაშე იცვლება პროექტის ვარიანტები. თავიდან იწყება ზუსტი გამოთვლა. იკარგება დრო, ენერგია, ოპტიმალური შედეგი კი არცთუ ისე ადვილად მიიღება. ისევ ახალი ვარიანტი, ისევ გამოთვლა, შედეგი და უკმაყოფილო ხმა — უფრო უკეთესის მიღებაც შეიძლება... ყველაფერი იწყება თავიდან!

მაგრამ საკმარისია დამორნდეს პატარა გამოთვლითი მანქანა, და ყველაფერი შეიცვლება: იგი არქიტექტორებს ავტომატურად სთავაზობს პროექტის რამდენიმე ვარიანტს სათანადო შესაბამის შედეგთან ერთად, დამპროექტებელს ისღა დარჩენია იფიქროს, ასჯერ გაზომოს და ისე აირჩიოს შესაფერისი ვარიანტი. ეს ყველაფერი ჯადოსნური სისწრაფით, თვალის დახამხამებაში ხდება. არ იხარჯება დრო, ენერგია, ნერვები. ოპტიმალური შედეგი კი ჩვენ წინაშეა:

— და ეს ყველაფერი ხდება იმ „ოქროსფერი თანაშემწის“ წყალობით, რომელსაც მრავალპროცესორიანი ელექტრონული გამოთვლითი მანქანა ჰქვია, — მეუბნება ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიკროპროცესორებისა და მრავალი ავტომატიზებული სისტემების სამეცნიერო-კომპლექსური საბჭოს სწავლული მდივანი კონსტანტინე ჯამკამიძე.

მეცნიერმა ამ საკითხს 70 ნაშრომი მიუძღვნა. მათ შორის სამი დამხმარე სახელმძღვანელოა, ოთხ მათგანი კი ერგებულია საკუთარი რედაქციით, რომელთა საფუძველზე ელექტრონული მანქანები ფართოდ დაინერგება არა მარტო ენერგეტიკაში, ქიმიურ და მეტალურგიულ საწარმოებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაიზოგება ადამიანის შრომა, რაც მთავარია, დაიზოგება დრო, რომელსაც ყოველ საწარმო-დაწესებულებაში ოქროს ფასი აქვს.

მრავალპროცესორიან მანქანებში, ერთპროცესორიანთაგან განსხვავებით, გამოთვლები პარალელურად სრულდება. თანამედროვე მრავალპროცესორიანი მანქანები წამში ათმილიონობით ოპერაციას ასრულებენ. ასეთი სწრაფქმედების უნარი კი იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ისინი გამოვიყენოთ წარმოებაში უწყვეტი პროცესების მართვისას.

ელექტრონულ-გამოთვლითმანქანებმა სწრაფი განვითარება ომის შემდგომ წლებში დაიწყეს. ელექტრომექანიკური მანქანების მოჰყვა ელექტრონული, ნახევარგამტარული, ინტეგრალური, მიკროპროცესორული. შემდეგი ტიპის გამოთვლითი მანქანა კი, რომელიც მეცნიერები ფიქრობენ, ოპტოელექტრონული იქნება, რომლის სწრაფქმედება სინათლის სხივის სიჩქარეს გაუტოლდება. მეცნიერთა ჯგუფი უკვე მუშაობს მომავლის მანქანის ოპტოელექტრონული გამოთვლითი სისტემის ცალკეული კვანძების შექმნაზე.

...გამოთვლითი ტექნიკის კათედრის დიდ, ნათელ ლაბორატორიაში ვიმყოფებით, სადაც კათედრის გამგე სტუდენტებთან ერთად მუშაობს. ჩვენ გარშემო მრავალი რთული მეკროელექტრონული გამოთვლითი მანქანაა, რომლებიც თვალის დახამხამებაში ასრულებენ ურთულეს დავალებებს და პასუხიც ერთმა წამად აქვთ.

სტუდენტები ადვილად სწავდებიან მანქანების საიდუმლოს, ისინი მათი თანაშემწეს როლს ასრულებენ. დაფაზე კი იხაზება სქემები, იწერება ფორმულები და ერთხელ კიდევ მოწმდება გამოთვლითი მანქანების სიზუსტე. თვალსაჩინო ხდება, რომ ადამიანის ჭკვა-გონების ეს საოცარი მიღწევა კეთილსინდისიერად ემსახურება მისსავე ავტორსა და ბატონ-პატრონს — ადამიანს!

გონების თვალი კი უფრო შორს იხედება — მომავლისაკენ, როცა უზარმაზარ საამქროებში მრავალი ელექტრონული მანქანა მოიყრის თავს და მათ ახლოდან ერთი ადამიანი მოემსახურება.

ი. კუკავა.

ჯ კ ვ ი ა ნ ი, ყ ო ვ ლ ი ს შ ე მ ძ ლ ე მ ა ნ ქ ა ნ ე ბ ი

ხელოვნებაა: „ელექტრონული გამოთვლელი მანქანებისა და მათემატიკური მეთოდების გამოყენება წარმოების მართვის დროს“.

მეცნიერთა ჯგუფის გამოკვლევა „შიდა და გარე მათემატიკური უზრუნველყოფის დამუშავება გამოთვლითი სისტემებისათვის გადამწყყობ სტრუქტურებზე“, რომლის ხელმძღვანელი კ. ჯამკამიძე გახლავთ, დაჯილდოებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საპატიო სიგელით.

ახალი გამოთვლითი სისტემები ფართოდ გამოიყენება წარმოების მართვისას. თუ ადრე ისინი ეფრეთ წოდებულ მრეწველის როლში გვევლინებოდნენ, ახლა მეცნიერთა მუშაობა მიზნად ისახავს იმას, რომ გამოთვლითმა მანქანებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ თვით მართვის პროცესში. ამ მიზნით უკვე შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები. კერძოდ, დამუშავებულია ალგორითმები და პროგრამები, რომლებსაც ეფუძნებენ მრავალპროცესორიანი გამოთვლითი მანქანის უზარმაზარ მართვის პროცესში ჩასაბმელად.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის მეცნიერთა ჯგუფი კ. ჯამკამიძის ხელმძღვანელობით ნაყოფიერად თანამშრომლობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის კოლექტივთან საწარმოო პროცესის დროს ახალი მრავალპროცესორიანი გამოთვლითი სისტემების ფართო დანერგვაში. ჩვენში კი ამ მიმართულებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი ოვერი ფრანგიშვილი.

ამ მიმართულებით ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციები კონსტანტინე ჯამკამიძის ხელმძღვანელობით. ასპირანტებმა უკვე დანერგეს კიდეც ალგორითმები და პროგრამები სხვადასხვა საწარმო-დაწესებულებაში. მაგალითად, ამერკოვკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებაში დაინერგა ახალი ტიპის ალგორითმი, რომელიც გამოიყენება ჰიდროსადგურებსა და თბოსადგურებში სიმძლავრეთა ოპტიმალური განაწილებისათვის. იგი იძლევა ეკონომიკურ ეფექტს — წელიწადში 147000 მანეთს, ენერგეტიკული რესურსების სწორი განაწილება კი რესპუბლიკისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახლავთ.

ამის გარდა, დამუშავებულია პროგნოზირების რამდენიმე ახალი მეთოდი, რომლის საწარმოში ფართოდ დანერგვის შედეგად მიიღება სათბობის საგრძნობი ეკონომია, დაიზოგება ენერგია. ამ მეცნიერული გამოკვლევების პრაქტიკაში დანერგვის საკითხში პოლიტიკური ინსტიტუტის მეცნიერთა კოლექტივს დიდ, ქმედით დახმარებას უწევს ამერიკიკასიის ენერგოსისტემების გაერთიანება (გაერთიანების უფროსი — ა. პეტრიაშვილი).

ამჟამად გამოთვლითი ტექნიკის კათედრაზე კონსტანტინე ჯამკამიძის ხელმძღვანელობით მუშავდება პრობლემა—საწარმოო პროცესების ობიექტებზე მიკროელექტრონული გამოთვლითი მანქანებისა და მრავალპროცესორიანი დიდი ელექტრონული ქსელების გაერთიანებლობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი საწარმოო პროცესი ავტომატიზებული იქნება და პასუხისმგებლობა დაიკისრებთ ელექტრონულ მანქანებს. პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის სასწავლო მუშაობაში წარმატებით ინერგება ახალი ტიპის გამოთვლითი მიკროელექტრონული მანქანები, მაგალითად, ПС — 310, რომელიც გამოიყენება ელექტრონული გამოთვლითი მანქანების ცალკეული კვანძის შესწავლისათვის. დაპროექტებულია სპეციალური სტენდი, რომელზეც თვალსაჩინოდ წარმოჩინდება მოქმედი ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების კვანძები.

ამ საქმეს დიდი ენთუზიაზმით ემსახურებიან დოკენტრები ო. ქართველიშვილი და ბ. მებუკე, უფროსი მასწავლებელი ც. ხოშტარია და სხვები, რომელნიც მოწყინებენი არიან, რომ ამ საინტერესო, მნიშვნელოვან სამუშაოში აქტიურად ჩაებან სტუდენტებიც.

კათედრაზე არის უნივერსალური გამოთვლითი მანქანები, სადაც სტუდენტები მრავალგვარ ლაბორატორიულ სამუშაოებს ასრულებენ. მანქანები აღჭურვილია დისპლეებით, რომელთა საშუალებითაც სტუდენტი „დიალოგს“ მართავს ელექტრონულ მანქანასთან.

მომავალში ელექტრონულ - გამოთვლითი მანქანები ფართოდ დაინერგება არა მარტო ენერგოგაერთიანებაში, არამედ ენერგეტიკაში, ქიმიურ და მეტალურგიულ საწარმოებში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაიზოგება ადამიანის შრომა, რაც მთავარია, დაიზოგება დრო, რომელსაც ყოველ საწარმო-დაწესებულებაში ოქროს ფასი აქვს.

მრავალპროცესორიან მანქანებში, ერთპროცესორიანთაგან განსხვავებით, გამოთვლები პარალელურად სრულდება. თანამედროვე მრავალპროცესორიანი მანქანები წამში ათმილიონობით ოპერაციას ასრულებენ. ასეთი სწრაფქმედების უნარი კი იმის საშუალებასაც იძლევა, რომ ისინი გამოვიყენოთ წარმოებაში უწყვეტი პროცესების მართვისას.

ელექტრონულ-გამოთვლითმანქანებმა სწრაფი განვითარება ომის შემდგომ წლებში დაიწყეს. ელექტრომექანიკური მანქანების მოჰყვა ელექტრონული, ნახევარგამტარული, ინტეგრალური, მიკროპროცესორული. შემდეგი ტიპის გამოთვლითი მანქანა კი, რომელიც მეცნიერები ფიქრობენ, ოპტოელექტრონული იქნება, რომლის სწრაფქმედება სინათლის სხივის სიჩქარეს გაუტოლდება. მეცნიერთა ჯგუფი უკვე მუშაობს მომავლის მანქანის ოპტოელექტრონული გამოთვლითი სისტემის ცალკეული კვანძების შექმნაზე.

● ესპანეთი
ნატოს წევრობის წინააღმდეგ

მადრიდი. ნატოში ესპანეთის წევრობის წინააღმდეგ გაიმართა ქვეყნის თვალსაჩინო კულტურის მოღვაწეთა ჯგუფმა. აქ გამოქვეყნებულ მანიფესტში, რომელსაც ხელს აწერენ მწერალი ფ. უმბრალი, პოეტი რ. ალბერტი, კინორეჟისორები მ. პატინო და ლ. ბერლანგა, მსახიობი ა. გამერო, ნათქვამია, რომ ნატოში ესპანეთის ინტეგრაცია შეზღუდავს ქვეყნის სუვერენიტეტს, დაუმორჩილებს მას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას. ეს კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ესპანეთის მომავალს.

ნატოს მესვეურებმა ევროპის კონტინენტს შეზღუდული ბირთვული ომის თეატრის როლი დააკისრეს. ნატოში ესპანეთის გაწევრიანების საკითხზე რეფერენდუმის წინ დოკუმენტის ავტორები საზოგადოებრიობას მოუწოდებენ ხმა აიღმაღლონ ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკიდან ესპანეთის გამოსვლისათვის.

● საფრანგეთი
კომუნისტთა მოთხოვნა

პარიზი. საფრანგეთში მყოფი ჰანეტი ჯალათის დიუვალიეს „პერსონა ნონ გრატადად“ გამოცხადება მოითხოვა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ეროვნულ კრებაში კომუნისტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ანდრე ლაჟუანიმ:

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრისადმი წერილში მან მტკიცე პროტესტი გამოთქვა საფრანგეთის მიწა-წყალზე ყოფილი დიქტატორის ყოფნის გამო, არავითარი გამართლება არა აქვს იმას, რომ კაცი, რომელსაც ხელი ათასობით ჰიტლერის სისხლით აქვს დასვრილი, ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდეს, ნათქვამია დოკუმენტში.

● სსრ კავშირ-თურქეთი
ხელი მოაწერეს ოქმს

ანკარა. აქ ხელი მოაწერეს ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში საბჭოთა კავშირ-თურქეთის სამთავრობათშორისი შერეული კომისიის მერვე სხდომის ოქმს.

ოქმი ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირ-ურთიერთობის შემდგომ განვითარებას მთელ რიგ დარგებში.

საბჭოთა კავშირის მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა საბჭოთა დელეგაციის შეთაურმა კ. თ. კატუშევმა, თურქეთის მხრიდან — ფინანსთა და საბაჟოების მინისტრმა ა. ალფთემოჩინმა.

● ნიკარაგუა - კოსტა-რიკა
წერილების გაცვლა

მანაგუა. ნიკარაგუის პრეზიდენტმა დ. ორტეგამ კოსტა-რიკის პრეზიდენტს ლ. ა. მონხეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც დასტურებულია რესპუბლიკის მთავრობის მისწრაფება ხელი შეუწყოს ორმხრივი ურთიერთობის მოწესრიგებას, რომელიც გარეულდა ცენტრალური ამერიკის ამ ორი სახელმწიფოს საზღვარზე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებული ბანდების პროვოკაციული მოქმედების შედეგად.

ნიკარაგუას, ნათქვამია წერილში, სურს კოსტა-რიკასთან ურთიერთობა ადგოს მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე ორი ქვეყნის ხალხებისა და მთავრობების ინტერესებისათვის, დოკუმენტი შეიცავს ორი სახელმწიფოს სასაზღვრო რაიონებში დაძაბულობის კერების ლიკვიდაციისათვის გამიზნულ კონკრეტულ წინადადებებს.

სასპასუხო წერილში ლ. ჰ. მონხემ დ. ორტეგას სამშვიდობო ინიციატივებს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი უწოდა ნიკარაგუა-კოსტა-რიკის ურთიერთობის მოწესრიგებისა და რეგიონში მშვიდობის განმტკიცების გზაზე. მან თქვა, რომ მზად არის განაგრძოს ძალისხმევა, რათა მშვიდობიანი ვითარება შეიქმნას საერთო საზღვარზე.

ნიკარაგუის მთავრობის აქ გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ორი სახელმწიფოს პრეზიდენტთა წერილების გაცვლა პოზიტიური ნაბიჯია ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი სიტუაციის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში.

● ესპანეთი
ნატოს წევრობის წინააღმდეგ

მადრიდი. ნატოში ესპანეთის წევრობის წინააღმდეგ გაიმართა ქვეყნის თვალსაჩინო კულტურის მოღვაწეთა ჯგუფმა. აქ გამოქვეყნებულ მანიფესტში, რომელსაც ხელს აწერენ მწერალი ფ. უმბრალი, პოეტი რ. ალბერტი, კინორეჟისორები მ. პატინო და ლ. ბერლანგა, მსახიობი ა. გამერო, ნათქვამია, რომ ნატოში ესპანეთის ინტეგრაცია შეზღუდავს ქვეყნის სუვერენიტეტს, დაუმორჩილებს მას ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას. ეს კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ესპანეთის მომავალს.

ნატოს მესვეურებმა ევროპის კონტინენტს შეზღუდული ბირთვული ომის თეატრის როლი დააკისრეს. ნატოში ესპანეთის გაწევრიანების საკითხზე რეფერენდუმის წინ დოკუმენტის ავტორები საზოგადოებრიობას მოუწოდებენ ხმა აიღმაღლონ ჩრდილოეთატლანტიკური ბლოკიდან ესპანეთის გამოსვლისათვის.

● საფრანგეთი
კომუნისტთა მოთხოვნა

პარიზი. საფრანგეთში მყოფი ჰანეტი ჯალათის დიუვალიეს „პერსონა ნონ გრატადად“ გამოცხადება მოითხოვა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ეროვნულ კრებაში კომუნისტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ანდრე ლაჟუანიმ:

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრისადმი წერილში მან მტკიცე პროტესტი გამოთქვა საფრანგეთის მიწა-წყალზე ყოფილი დიქტატორის ყოფნის გამო, არავითარი გამართლება არა აქვს იმას, რომ კაცი, რომელსაც ხელი ათასობით ჰიტლერის სისხლით აქვს დასვრილი, ჩვენს ქვეყანაში იმყოფებოდეს, ნათქვამია დოკუმენტში.

● სსრ კავშირ-თურქეთი
ხელი მოაწერეს ოქმს

ანკარა. აქ ხელი მოაწერეს ეკონომიკური თანამშრომლობის დარგში საბჭოთა კავშირ-თურქეთის სამთავრობათშორისი შერეული კომისიის მერვე სხდომის ოქმს.

ოქმი ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური და სავაჭრო კავშირ-ურთიერთობის შემდგომ განვითარებას მთელ რიგ დარგებში.

საბჭოთა კავშირის მხრიდან ოქმს ხელი მოაწერა საბჭოთა დელეგაციის შეთაურმა კ. თ. კატუშევმა, თურქეთის მხრიდან — ფინანსთა და საბაჟოების მინისტრმა ა. ალფთემოჩინმა.

საქართველოს საერთაშორისო ფენომენები

ბიზნესი, „ჩელენჯერი“ და პენტაგონი

ეჭვიანი, ეჭვიანი, ეჭვიანი! — ასეთია ერთ-ერთ ინტერვიუში ამერიკელ ბიზნესმენ ტედ ტერნერის ერთ-ერთი ფრაზა. ეს ფრაზა ეხება ამერიკელ ბიზნესმენებს, ეხება ამერიკელ ინჟინრებს, ეხება ამერიკელ ინტელექტუალებს, ეხება ამერიკელ ჟურნალისტებს, ეხება ამერიკელ ოფიცრებს, ეხება ამერიკელ ადამიანებს, ეხება ამერიკელ ეროვნებას, ეხება ამერიკელ ეროვნულ ხასიათს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ბუნებას, ეხება ამერიკელ ეროვნულ ფსიქიკას, ეხება ამერიკელ ეროვნულ ფსიქოზს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ნევროზს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ფობიებს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ფანტაზიებს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ოცნებებს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგოიზმს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგოცენტრიზმს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგზალტაციებს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგზალტაციურ ეგოიზმს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგოცენტრიზმ-ეგზალტაციურ ეგოიზმს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგოცენტრიზმ-ეგზალტაციურ ეგოიზმ-ეგზალტაციებს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგოცენტრიზმ-ეგზალტაციურ ეგოიზმ-ეგზალტაციებ-ეგოიზმებს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგოცენტრიზმ-ეგზალტაციურ ეგოიზმ-ეგზალტაციებ-ეგოიზმებ-ეგზალტაციებს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგოცენტრიზმ-ეგზალტაციურ ეგოიზმ-ეგზალტაციებ-ეგოიზმებ-ეგზალტაციებ-ეგოიზმებ-ეგზალტაციებს, ეხება ამერიკელ ეროვნულ ეგოცენტრიზმ-ეგზალტაციურ ეგოიზმ-ეგზალტაციებ-ეგოიზმებ-ეგზალტაციებ-ეგოიზმებ-ეგზალტაციებ-ეგოიზმებ

სევდიანი დაი ჩემი

ნარკვევი

ბანა ყველაფრის სადისკუსიოდ გამოტანა შეიძლება? ხომ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული „შეშმარიტებანი“ დაიბეჭდება ჟურნალში ან გაზეთში წერილი — მავანმა და მავანმა დედამ შვილი მოიძულა, მიატოვაო. იმ წერილს მაშინვე მკითხველები გამოეხმაურებიან (ცხადია, ყველა ერთსულოვანია იმ ქალის საქციელის შეფასებისას!), ჰოდა, შეიქნება ერთი ამბავი. მაგრამ რას მიაღწევს ამით რედაქცია? ვითომ იმ უჯილაგო და თავქარიან გოგოს შეაგდებს ნამუსზე? თუ სხვა დედების ჯუნს სასწავლებლად სჩადის ამას?

ტანმორჩილი, მოკლედ თმაშეკრეჭილი ჭაღარა ქალი ცხარობდა, თუმცა აღარავინ ეკამათებოდა. ლაპარაკისას ხშირ-ხშირად გადაეფადავდა თვის დას, მისი ტანის, მასაკით თმაშეკრეჭილ ქალს, რომელიც მაღერთებელ მზრახს არ აცილებდა, თავს უქნევდა და ხანგამოშვებით ხუმად ოხრავდა.

კუპეში ოთხნი ეიყავით. დები მასწავლებლები იყვნენ და თბილისს მოეგზავრებოდნენ რაღაც შეკრებაზე. მესამე თანამგზავრი, ახალგაზრდა იურისტი ქალი, ჩემსავით მივლინებიდან შინ ბრუნდებოდა. ჩემი ალაპარაკებს ერთ კუპეში თავშეყრილი ოთხი ქალი, რომლებსაც მთელი ღამის მგზავრობა ელით? რა თქმა უნდა, ოჯახზე, შვილებზე, სიყვარულზე... იმ თემებზე, მარადიულს რომ ეუწოდებთ, რომელთა შესახებ ყველას საკუთარი შეხედულება გვაქვს და დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ ის არის ყველაზე სწორი და უყოყმანოდ მისაღები. ამიტომ აზრთა გაზიარება ამ დროს უკამათოდ იშვიათად მთავრდება ხოლმე. ჩვენც ნელ-ნელა შევყევით და ბოლოს ცხარე კამათში ჩავებით, — დები ერთ მხარეს, მე და იურისტი — მეორეს. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ვიგრძენი, რომ მარტო ვრჩები — ჩემი მოკავშირე მეცლება, უფრო იშვიათად ებმება კამათში, მერე სულაც დადუმდა, გულ-ხელი დაიკრიფა და გაირინდა.

შუაღამეს გადაცილებული იყო, დასაძინებლად რომ დავწექით. არ ვიცი, უეცრად რამ გამომაღვიძა. მატარებელი იდგა. კუპე სარკმლიდან შემოსული ლამპიონების შუქით იყო განათებული. რიგიანად გამოფხიზლებულიც არ ვიყავი, რომ გამახსენდა: დაწოლის წინ დერმატინის ფარდა მე თვითონ ჩამოვაფარე სარკმელს. გვერდით თაროს გადავხედე და ჩემი ახალგაზრდა თანამგზავრი დაეძინა — საწოლზე წამომჯდარიყო, ზურგით ტიხარს მიყრდნობოდა, ზეწარი ნიკაპამდე აეფარებინა და სადგურის ბაქანს გასცქეროდა. რაღაც იყო მის პოზაში ისეთი, რომ უმალ გამოვფხიზლდი. ხმადაბლა დავუძახე. სახე ჩემსკენ მოაბრუნა და ახლა მისმა გამომეტყველებამ დამზაფრა. წამოვდექი, ხალათი მოვისხი და სარკმელში გავიხედე. სამტრედიაში ვიყავით. ცუდად ხომ არა ხართ-მეთქი? — ვკითხე. ოდნავ, ოდნავ გადექნია თავი, თუმცა თვალებით მეთანხმებოდა, ცუდად ვარო. ყინულივით ცივ თითებზე ხელი მოვკიდე და ქვემოთ ჩამოსვლაში დავიხმარე. ბავშვივით დამყვა.

უბმაოროდ გამოვედით კუპედან. მატარებელი უკუნეთში მიგრიალდაა, დროდადრო სარკმელს დაფეთებული აწყდებოდნენ სიბნელეს წამიერად გამოტაცებული ხეები და მყისვე ბნელეში ინთქმებოდნენ. ჩემი თანამგზავრი (დავარქვათ მას ნატო, რადგან ნამდვილ სახელს, სულ ერთია, ვერ გავიმხელ) ტიროდა და სვენებ-სვენებით მიყვებოდა ამბავს, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ. მიყვებოდა, ტიროდა, ისე? მიყვებოდა, და მე ისე მევსებოდა სული მისი ტკივილით, თითქოს ეს ორიოდე საათის წინ გაცნობილი ქალი დაი იყო ჩემი, შორეთიდან მოსული, ნატანჯი და ვნებული.

ასე დაგვთენდა. თბილისის სადგურზე მას ქმარი დახვდა, ცომცომ გადაიყვანა ვაგონის კუბიდან, მკლავი გამოსდო და გასავლელისაკენ წაიყვანა. ვიდრე თვალს მოეფარებოდნენ, ნატო მომიბრუნდა და გამიღიმა. სხვანაირი გაღიმება იცოდა: მხოლოდ ბაგე უღიმოდა, თვალები კი სევდიანი რჩებოდა. უეცრად გავიფიქრე, იქნებ, ეეღარასოდეს შევხვდეთ-მეთქი? ასეც გამოვიდა. წაიკითხავს ის ამ წერილს? არ ვიცი. მე უფრო მინდა, მამამისმა წაიკითხოს.

◆

მშობლები რომ ერთმანეთს დასცილდნენ, იმ წელიწადს ნატო ერთი წლის გახდა. რამდენიმე თვეში მამამ მეორე ცოლი შეირთო, სამი წლის შემდეგ დედა გაუთხოვდა. ბავშვი ჯერ ბებიასთან, მერე დეიდებთან იზრდებოდა. რვა კლასი წულუკიძეში დამთავრა. და სწორედ ამ დროს გაიცნო ერთი ვაჟი, რომელსაც თურმე შორიდან მოსწონდა. ერთმანეთს რომ დაუახლოვდნენ, ვაჟმა ისეთი სითბო და მზრუნველობა აგრძნობინა (შეიდი წლით იყო უფროსი ნატოზე), რომ როგორც კი ცოლობა შესთავაზა, გოგო უყოყმანოდ გაჰყვა სოფელში.

დედამთილს დანაზვისთანავე მოეწონა. პატარა ბაშვივით უყვავებდა, გაფრენილ წარბებს „უკოცნდა. გათხოვილი უშვილო მულიც უურადღებას და ტკბილ სიტყვას არ აკლებდა. თქვენსმეტი წლისა რომ შესრულდა, ხელი მოაწერინეს. მალე გოგონა გაუჩნდა — ია. ნატოს ბედნიერებით ცას უწვდებოდა ხელი: თავს ვაეკაცი ქმარი ადგა, დედამთილი ნამდვილ დედობას უწევდა, აკვანში შვილი უღუღუნებდა.

იმ ზაფხულს დიდი სიცხეები დაიჭირა. ნაშუადღევს ნაწოს აკვანი გარეთ გამოჰქონდა და ლეღეის ხის ქვეშ დგამდა. მზით დატბორილი მსხმოიარე ბალი ავსებული იყო ყვავილობის, მწიფობის ათასნაირი სურნელით. კანდამსკდარი ნაყოფით ტოტებდამძიმებულ ჩარდახში მზის სხივების ათინათები ციცავდნენ. დაგუდულად ბზოოდა ფუტკარი. ბავშვი მშვიდი ზნისა იყო, თითქმის არასოდეს ტიროდა და სულ ეძინა. უცეს ნატოს ისე ძალიან მოუწდებოდა მისი მოფერება, რომ არტახებს შეუხსნიდა და მძინარე ჩვილი ამოჰყავდა. გულზე მიიყრდნობდა, უკოცნიდა ნამიან, სურნელოვან პატარა სხეულს, საალერსო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ხანდახან ღობეს მეზობელი მოხუცი ქალი მოადგებოდა. უცქერდა, უცქერდა და პირჯვარს გადაიწერდა. ზოგჯერ ვენახიდან დაბრუნებული დედამთილი წამოადგებოდა თავს და, რძალსა და შვილიშვილს ამ ყოფაში რომ ნახავდა, ნატოს ტუქსავდა, ყმაწვილს რად აფხიზლებ, თოკინობანას ხომ არ თამაშობ. მაგრამ ამას რომ ეუბნებოდა, ტუჩებს თავს ვერ უყრიდა, — ეცინებოდა...

ერთ დღეს მამა ესტუმრა — შვილიშვილის შეძენა გაეგო და სოფელში კითხვა-კითხვით მოაგნო. მისი სტუმრობა ქმრისა და დედამთილისათვის კი არა, ნატოსთვისაც მოულოდნელი იყო, — რა ხანია, მამა თვალით არ ენახა...

მამას პეწიანად ეცვა. ახალთახალი მანქანის გასაღებს თითზე ათამაშებდა, მხიარული და თავდაჯერებული იყო. დატრიალდნენ შინაურები, მეზობელ-მოკეთეები. დიდებული სუფრა გაუშალეს ვეირფას სტუმარს. მამამ მოიოხინა, შეთვრა, სიძეს ხელი გადახვია: შენ იცი, როგორ მოუვლი ამ ჩემს გოგოს და პატივსცემა ჩემზე იყოს, ობლობას დაგავიწყებ, ნამდვილ მამობას გაგიწევ. ყველა მოხიბლა და, რა თქმა უნდა, საკუთარი ქალიშვილიც, რომელმაც იმ დღეს პირველად იგრძნო უტკბესი გრძნობა, სხვათა მიერ სიყმაწვილეშივე განცდილი და გათავისებული: სიამაყე, თავმომწონეობა, აი, ასეთი მამა რომ ჰყავდა.

გამგზავრების წინ მამამ დაუბარა, მალე ამოგაკითხავთო, და ამის შემდეგ ნატოს სულ ჭიშკრისაკენ ეჭირა თვალი. მაგრამ დღე დღეს მისდევდა, თვე — თვეს, მამა კი არ ჩანდა, არც არაფერს იტყობინებოდა. ნეტავ რა დაემართაო? — ეკითხებოდა თავისიანებს. ალბათ, დავავიწყდითო, უთხრა ერთხელ ქმარმა ხუმრობით და ნატომ საშინლად იწყინა. ძლივს მოაბრუნებინა ვაჟმა გული.

მაგრამ მერე, თანდათან, ნატო მიხვდა, რომ ეს სიმართლეს ჰგავდა. მიხვდა, რომ მასთან ერთად მამას მისი ქმარიც ელოდა, დედამთილიც და მულიც, რომელიც ყოველ ჩამოსვლაზე მძახლის ამბავს კითხულობდა.

და ახლა ნატოს ეს მოლოდინი თრგუნავდა, ანერვიულებდა. ეჭვის ჭია შეუჩნდა, ეჩვენებოდა, რომ მის ირგვლივ ყველა მხოლოდ მამამისის ძვირს ლაპარაკობს და მისი შესვლისთანავე დუმდებიან. მერე ეჭვი გაუმართლდა: ერთხელ რაღაც ძალიან მოეწონა და მულმა გესლიანად უთხრა, შამაშენის გამოგზავნილი ზზიოევიდანაო. მერე დაუფარავი საყვედურებიც გააგონეს.

არა, ახლა აღარ ეჩვენებოდა, რომ ძველებურად აღარ უყვარდათ. აღარც თბილი სიტყვა, აღარც მოფერება... გოგომ სულის სიმშვიდე დაკარგა. დღენიადაგ ერთი საფიქრალი ჰქონდა და ამ ფიქრით თავი სტკივდებოდა. ცდილობდა, ამოეხსნა, რატომ შეუყვარდათ ამ ადამიანებს არაფრისმქონე, ცოცხალი მშობლების პატრონი ობოლი და რად აჰყარეს გული ახლა, როცა მამა გამოუჩნდა. ეგონა, თუ ამას ამოიცნობდა, თავისი გამოუვალი სასოწარკვეთილებიდან დასახსნელ გზასაც დაინახავდა, არიადნეს გორგალივით ხელს ჩაავლებდა ანას, ამ ძველ, ბედნიერ დღეებში დაბრუნდებოდა.

გახდა, უძილობა დასჩემდა. ხშირად ჰაერი არ ჰყოფნიდა, თითქოს გულზე ვიღაც ყინულივით ცივ ხელს უჭერდა. შინაურებმა შეატყვეს, რომ თვალსა და ხელს შორის დნებოდა. საოჯახო თათბირზე გადაწყდა, მამისთვის წერილი მიეწერათ. ორიოდ დღეში მამამ ჩამოაკითხა და სამტრედიაში წაიყვანა საკონსულტაციოდ. მას არაფერი შეამჩნევინეს. არც ნატოს უთქვამს რაგე.

ექიმებმა მამა დაარწმუნეს საშიში არაფერია, გოგო გადაღლილია, განერვიულებული, ცოტა დაასვენეთ, კატაბალახას ნაყენი ასვით და ყველაფერი გაუვლისო. შინ რომ დაბრუნდნენ, ნატომ მამას ყველაფერი უამბო. საყვედურს როგორ გაუბედავდა, მაგრამ თავისი გულისტკივილი შეფარვით აგრძნობინა.

სოფელში მეორე დღესვე აპირებდნენ დაბრუნებას, მაგრამ მოულოდნელად სავაჭრო ორგანიზაციას, მამა რომ ხელმძღვანელობდა, თბილისიდან რევიზია ჩამოუვიდა. რევიზია რომ გაისტუმრეს, იმ ღამეს დედინაცვალი გახდა სამშობიაროში წასაყვანი — მეორე გოგონა შეეძინა. სოფელში წასვლა ისევ გადაიდო — მამას არ ეცალა, ოჯახის მიტოვებაც არ შეიძლებოდა. დედინაცვალს ლოგინობიდან თავის ტკივილი აჰყავ და მთელი დღეები იწვა ფარდებჩამოფარებულ ოთახში. აკვანი ნატოს დაუდგეს.

დედინაცვალმა რომ ცოტა მოიხედა, ნატომ მამას სთხოვა, ჩემს ოჯახში წამიყვანეო. გაბა ვერ გაიგეზებდა! მაგრამ გულმოსული რომ წამოვიდა და აქაც

ᲗᲔᲛᲐ, ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐ, ᲤᲐᲥᲢᲘ

ᲓᲐᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲬᲐᲠᲘ

ᲭᲐᲜᲒᲑᲐᲓᲘ

სსრკ. რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრის მეცნიერებმა მიიღეს ნაერთები, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ მომარაგებული ჟანგბადის გაცემა. 100 გრ დაფხვნილი ეს ნივთიერება გახურებისას გამოყოფს 40 ლიტრზე მეტ გაზს, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანმა რამდენიმე საათის განმავლობაში ისუნთქოს. ამისი აუცილებლობა კი არის ხოლმე სამედიცინო პრაქტიკაშიც, შახტებშიც, წყალქვეშაც და მაღალ მთებშიც. შენაერთები ამრილებისა და არაორგანული წყალბადზეჟანგის ნარევისაგან შედგება.

ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲑᲝᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲕᲜᲔᲑ

ინგლისი. მეცნიერებმა იმ ბავშვების ნერწყვში, რომელთა დედ-მამა თამბაქოს ეწევა, აღმოაჩინეს დიდი რაოდენობის კოტინინი — ნიკოტინის მეტაბოლიტი. თურმე, როცა ორივე მშობელი ეწევა, ბავშვები იმდენ ნიკოტინს შეისუნთქავენ, რამდენსაც მიიღებდნენ თვითონ წელიწადში 80 სიგარეტი რომ მოეწიათ.

7-11 წლის ინგლისელი ბავშვების ფართო მასშტაბის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მწეველი მშობლების შვილები საშუალოდ 1 სმ-ით დაბლები არიან, ვიდრე არამწეველი მშობლების შვილები.

აშშ. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ექიმთა კვლევის შედეგებით, მწეველი დედების შვილებს უფრო სუსტად უვითარდებათ სუნთქვითი ფუნქცია, ხოლო სხვა გამოკვლევით დადგინდა, რომ მწეველი მშობლების შვილებს სხვა ბავშვებთან შედარებით ორჯერ მეტად ემართებათ ფილტვების დაავადებები.

ᲖᲚᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲥᲠᲔᲡ?

ჩინეთი. საფრანგეთ-ჩინეთის ექსპედიციის წევრმა მეცნიერებმა, რომლებიც საკვლევი გემით „ჟან ბარკოთი“ მოგზაურობდნენ, ნაოსნობიდან დაბრუნების შემდეგ სენსაციური განცხადება გაკეთეს. სამხრეთ ჩინეთის ზღვის ფსკერზე მათ აღმოაჩინეს წყალქვეშა მთაგრეხილი. მილიონობით წლის წინათ წარმოქმნილი ეს ქედი ახლაც „იზრდება“ წელიწადში რიგ-რიგნიმე სანტიმეტრით. თუ ეს პროცესი გაგრძელდა, ოცი მილიონი წლის შემდეგ სამხრეთ ჩინეთის ზღვა გაქრება.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით -ამბ. იოსეს ალექსის ძე **ხარატიშვილი** განთავისუფლებულია საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

ᲔᲡ ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა სიმონ კილაძემ გადაიღო თბილისი ᲘᲡ ქორეოგრაფიულ სასწავლებელში. ფოტოკადრებზე აღბეჭდილია ხალხური სასცენო ცეკვების ერთ-ერთი გაკვეთილი.

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ, ᲰᲘᲞᲝᲗᲔᲖᲐ, ᲤᲐᲥᲢᲘ

ᲓᲐᲙᲝᲜᲡᲘᲚᲘᲠᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲬᲐᲠᲘ

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲕᲜᲔᲑ

სსრკ. რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ზოგადი ქიმიის კათედრის მეცნიერებმა მიიღეს ნაერთები, რომლებსაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ მომარაგებული ჟანგბადის გაცემა. 100 გრ დაფხვნილი ეს ნივთიერება გახურებისას გამოყოფს 40 ლიტრზე მეტ გაზს, რაც საკმარისია იმისათვის, რომ ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანმა რამდენიმე საათის განმავლობაში ისუნთქოს. ამისი აუცილებლობა კი არის ხოლმე სამედიცინო პრაქტიკაშიც, შახტებშიც, წყალქვეშაც და მაღალ მთებშიც. შენაერთები ამრილებისა და არაორგანული წყალბადზეჟანგის ნარევისაგან შედგება.

ᲗᲐᲛᲑᲐᲫᲘᲡ ᲑᲝᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲕᲜᲔᲑ

ინგლისი. მეცნიერებმა იმ ბავშვების ნერწყვში, რომელთა დედ-მამა თამბაქოს ეწევა, აღმოაჩინეს დიდი რაოდენობის კოტინინი — ნიკოტინის მეტაბოლიტი. თურმე, როცა ორივე მშობელი ეწევა, ბავშვები იმდენ ნიკოტინს შეისუნთქავენ, რამდენსაც მიიღებდნენ თვითონ წელიწადში 80 სიგარეტი რომ მოეწიათ.

7-11 წლის ინგლისელი ბავშვების ფართო მასშტაბის გამოკვლევამ დაადასტურა, რომ მწეველი მშობლების შვილები საშუალოდ 1 სმ-ით დაბლები არიან, ვიდრე არამწეველი მშობლების შვილები.

აშშ. ჰარვარდის სამედიცინო სკოლის ექიმთა კვლევის შედეგებით, მწეველი დედების შვილებს უფრო სუსტად უვითარდებათ სუნთქვითი ფუნქცია, ხოლო სხვა გამოკვლევით დადგინდა, რომ მწეველი მშობლების შვილებს სხვა ბავშვებთან შედარებით ორჯერ მეტად ემართებათ ფილტვების დაავადებები.

ᲖᲚᲕᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲥᲠᲔᲡ?

ჩინეთი. საფრანგეთ-ჩინეთის ექსპედიციის წევრმა მეცნიერებმა, რომლებიც საკვლევი გემით „ჟან ბარკოთი“ მოგზაურობდნენ, ნაოსნობიდან დაბრუნების შემდეგ სენსაციური განცხადება გაკეთეს. სამხრეთ ჩინეთის ზღვის ფსკერზე მათ აღმოაჩინეს წყალქვეშა მთაგრეხილი. მილიონობით წლის წინათ წარმოქმნილი ეს ქედი ახლაც „იზრდება“ წელიწადში რიგ-რიგნიმე სანტიმეტრით. თუ ეს პროცესი გაგრძელდა, ოცი მილიონი წლის შემდეგ სამხრეთ ჩინეთის ზღვა გაქრება.

ᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით -ამბ. იოსეს ალექსის ძე **ხარატიშვილი** განთავისუფლებულია საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

Გ. პ. საჯაია

რესპუბლიკის პედაგოგთა საზოგადოებას, პრესის მუშაკთა რიგებს გამოაკლდა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, 1939 წლიდან სკკპ წევრი გრიგოლ პლატონის ძე **საჯაია.**

გ. პ. საჯაია დაიბადა 1909 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში. შრომითი საქმიანობა ადრე დაიწყო — 1927 წელს დაინიშნა კომკავშირის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორად, მოგვიანებით კი პიონერთა სამაზრო ბიუროს თავმჯდომარედ.

თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1933-დან 1937 წლამდე გ. პ. საჯაია მუშაობდა „სახელგამის“ პოლიტიკურ redაქტორად, 1937 წლიდან — რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატში ჯერ ინსპექტორ-მეთოდისტად, მერე საინსპექტორო-მეთოდიკური განყოფილების გამგედ, საშუალო სკოლის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ.

1945 წელს გ. პ. საჯაია დაინიშნა გაზეთ „სახალხო განათლების“ redაქტორად. აქედან იწყება მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა,

1964 წლიდან გ. პ. საჯაია ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებას“ ედგა სათავეში. უშუალოდ მის სახელთან არის დაკავშირებული ჟურნალის ყოველკვარტალური სამეცნიერო-მეთოდიკურ დამატებათა გამოცემის პრაქტიკული ორგანიზება, მათი საგამომცემლო სახის ჩამოყალიბება.

პენსიაში გასვლის შემდეგ, 1979 წლიდან გარდაცვლამდე, გ. პ. საჯაია მუშაობდა გამომცემლობა „განათლების“ სამეცნიერო redაქტორად.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს გ. პ. საჯაიას მრავალმხრივი და შინაარსიანი მოღვაწეობა. იგი ორჯერ დაჯილდოდა „სპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლებით, მინიშვნეული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის სპატიო წოდება; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაჯილდოებული იყო ი. გოგებაშვილის სახელობის მედლით და „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

პრინციპული კომუნისტისა და ღირსეული მოქალაქის გ. პ. საჯაიას უმწყალო სახელი სამუდამოდ დარჩება მადლიერი საზოგადოების ხსოვნაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირი, გამომცემლობა „განათლება“.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

სატურნირო ორბიტა

ბაღდადი. შვეიცის ქალაქ მალმეში მიმდინარე ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა შეჯიბრების მეცხრე ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ნ. ალექსანდროვამ დაამარცხა მ. ლიტინსკაია და ლ. სემიონოვა, ა. ბრუსტმანთან (პოლონეთი) კი დაზავდა. ლიტინსკაია დამარცხდა აგრეთვე ბრუსტმანთან, ხოლო ა. ლევიტინასთან ყაიმს დასჯერდა. სემიონოვამ მოუგო ლევიტინას, ბრუსტმანმა — უ მინციანს (ჩინეთი), ეს უკანასკნელი კი დაუზავდა ბ. კრამლინგს (შვეიცია). ამრიგად 9 ტურის შემდეგ შეჯიბრების მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა ასეთი გახლავთ: ახმილოვსკაია — 7 ქულა, ლიტინსკაია — 6, ალექსანდროვა — 5,5, სემიონოვა — 4,5, ლევიტინა —4, კრამლინგი და ბრუსტმანი — 3,5, 3,5, უ მინციანი — 2 ქულა.

ფეხბურთი. მაინის ფრანკფურტში მოეწყო ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წილისყრა. სსრ კავშირის ნაკრები ითამაშებს მესამე შესარჩევ ჯგუფში. აქ მისი მეტოქეები იქნებიან საფრანგეთის, გდრ-ის, ნორვეგიისა და ისლანდიის გუნდები. დანარჩენ შესარჩევ ჯგუფებში ქვეყნები ასე განაწილდნენ: I. ესპანეთი, რუმინეთი, ავსტრია, ალბანეთი; II. პორტუგალია, შვეიცია, შვეიცარია, იტალია, მალტა; IV. ინგლისი, ჩრდილოეთ ირლანდია, იუგოსლავია, თურქეთი; V. ჰოლანდია, უნგრეთი, პოლონეთი, საბერძნეთი, კვიპროსი; VI. დანია, უელსი, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი; VII. ბელგია, ბულგარეთი, ირლანდია, შოტლანდია, ლუქსემბურგი. ფინალური ტურნირი გაიმართება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც ითამაშებენ შესარჩევ ჯგუფებში გამარჯვებულები, აგრეთვე გფრ-ის ნაკრები (როგორც მასპინძელი).

ფუალბალი. მოსკოვში გაიმართა საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. ტრამპლინიდან მხტომელ ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი მ. ბაბკოვა, ვაჟთა შორის კი ჩელიაბინსკელი ს. კუზმინი. კოშკიდან მხტომელ ვაჟთა შორის თავი ისახელა თბილისელმა **გ. ჩოგოვაძემ,** მან ამ სახეობაში ყველას აჯობა და გაზეთის პრიზს დაეუფლა.

რედაქტორი

Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲝᲚᲯᲝᲕᲘ

16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — რიტმული ტანვარჯიში. 10.10 — კინოჟურნალი „აღმოსავლეთ ციმბირი“. 10.20 — სპორტლოტო. 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — „დილის ფოსტა“. 12.30 — მოგზაურთა კლუბი. 13.30 — მუსიკალური კოსკი. 14.00 — სოფლის საათი. 15.00 — კინოჟურნალი „ერალაში“. 15.10 — მხატვრული ფილმი „იმპერიის ნამსხვრევი“. 16.40 — „როგორ ვისვენებთ“. 17.10 — მულტფილმები. 18.00 — საოპერო სცენის ოსტატები თ. შალიაპინი. 19.00 — საერთაშორისო პანორამა. 19.45 — უკრავს სასულე ორკესტრი. 20.00 — „სულით და გულით“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — თეატრალური მიმოხილვა. 0.05 — მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში. ეაკუები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.50 — ხალხური საკრავების ორკესტრის კონცერტი. 10.20 — საქართველოს ტელევიზიის პროგრამა. 12.05 — რუსული მეტყველება. 12.35 — უკრავს ფრანგი პიანისტი ჟ. მ. ლუისადა. 17.00 — ბახი. მონაწილეობს კამერული ორკესტრი „მოსკოველი ვირტუოზები“. 18.00 — აშკარა — დაუჯერებელი. 19.00 — ანსამბლ „ორიზონტის“ კონცერტი. 19.15 — ციგურაობა. 20.15 — რეკლამა. 20.20 — „კინოკონცერტი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — კინოჟურნალი „საბჭოთა სპორტი“. 21.25 — ზეერა-ფლერით ბულგარეთში“. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — მხატვრული ფილმი „მეკარე“.

17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — ფილმი ბავშვებს. 10.25 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.45—მხატვრული ტელეფილმი. „ციერკმა ჩირადღნები აანთო“. 15.50—დოკუმენტური ფილმები. 16.25 — მოსკოვის ოლქის სოფლების დღევანდელი და ხვალინდელი დღე. 16.55 — მოწოდება. 17.30 — მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია „ჩვენ ყველას მშვიდობა გვსურს“. 18.00 — „მეცნიერება და ცხოვრება“. 18.30 — კონცერტი.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲨᲘ

19.00 — დაჩქარება. 19.30 — მულტფილმი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — სიფხიზლე ცხოვრების ნორმაა. 20.30 — მ. გლინკა. „დაუმთავრებელი სონატა“. 20.45 — ტელესპექტაკლი „გაწვიმდება“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ტელესპექტაკლის გაგრძელება. 23.30 — დღეს მსოფლიოში. 23.45 — სპორტი გასულ კვირაში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 — ბუნებისმეტყველება. მესამე კლასი. 9.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.05 — რუსული მეტყველება. 10.55 — საჭადრაკო სკოლა. 11.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 13.00 — მ. მ. პრიშვინი. „მზის საკუჭნაო“. მეხუთე კლასი. 13.30 — ისტორია. მერვე კლასი. 14.15 — ზოგადი ბიოლოგია. მეათე კლასი. 14.45 — ვ. ი. ლენინის სახე საბჭოურ დრამატურგიაში. 15.35 — მოსწავლეებს პუშის შესახებ. 19.15 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 20.15 — საერთაშორისო პანორამა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.20 — ფარიკაობა. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — შეხვედრა კომპოზიტორ ა. პახმუტოვასთან.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

16 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.20 — „უჩვენებს საქართველოს ტელევიზია“. გადაცემა მომზადებულია ცენტრალური ტელევიზიის მეორე საერთო-საკავშირო პროგრამისათვის. 12.05 — კინოფიშა. 12.35 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 13.05 — საკვირაო გამოფენა. 13.10 — ამბავი ნამდვილი ადამიანებისა — მხატვრული ფილმი „პოლოსიტყვაობა“. 14.55 — ხალხური შემოქმედება — კონცერტი. 15.35 — „ვესტნიკი“. 16.05 — საკვირაო გამოფენა. 16.10 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 16.45 — აქტუალური ეკრანი. 17.15 — საკვირაო გამოფენა. 17.20 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — ბინათმშენებლობას — ტემპიც, ხარისხიც. 18.10 — შემოქმედებითი პორტრეტები — მიქელ პატარიძე. 18.55 — საკვირაო გამოფენა. 19.00 — საერთაშორისო პანორამა (მ.). 19.45 — „ზღაპრის გუდა“. 20.00 — მოამბე. 20.45 — სკკპ XXVII ყრილობის შესახვედრად — „დიალოგი ყრილობის დელეგატებთან“ (გადაცემა მესამე). 21.05 — კონცერტი „თქვენი თხოვნით“ (პროგრამა შედგენილია ქობულეთის რაიონის მშრომელთა თხოვნით). 22.00 — „ვრემია“. 22.45 — „სცენის სარკე“ — თეატრალური მიმოხილვა (.მ).

17 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე 10.20 — მხატვრული ფილმი „მამა სერგი“. 11.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ილიასკენ ზოშენერის შესახებ“. 13.00 — მასწავლებლის საათი — ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 13.30 — საინფორმაციო გამოშვება. 13.45 — საბჭოური ცხოვრების წესი — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაგელოცოს მარჯვენა“. 14.15 — მოსწავლეთათვის — საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები. 14.15 — ვ. ი. ლენინის სახე საბჭოთა დრამატურგიაში (მ.). 15.35 — საბჭოური ცხრერების წესი — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენ მეცხვარეები ვართ“. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 16.45 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — ვემზადოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის“. 17.25 — განცხადებები. 17.30 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია.